

# მორალის თეორიები ჯ. დიუის მიხედვით

*მაია ახვლედიანი - ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*  
*ნინო ორჯონიკიძე - ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Dewey's Vision of Moral Theories

*Maia Akhvlediani - Associate Professor, Pedagogical Department, Akaki Tsereteli State University,  
Kutaisi, Georgia.*

*Nino Orjonikidze - Associate Professor, Pedagogical Department, Akaki Tsereteli State University,  
Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** The changes occurring in the universe lead to continuous variation of customary practices, belief, fighting, labor and other values. The moral upbringing and education is also, perceived by the society as a purpose of school as a form of public life. The most modern schools are oriented towards, training process and knowledge transfer, and they do not associate this process with a system of customary practices that complicates the creation of moral interest, development of moral visions and formation of moral character. Dewey's vision of dualistic moral theories will develop skills of all parties involved in training-educational process to manage their social interest and intelligence.

**Research methodology:** There have been used the methods of the empirical and theoretical research.

Methods used and/or approach taken: Observation, comparison, analysis, synthesis, induction, deduction.

**Results and implications:** We have concluded that Dewey's philosophy today, still remains relevant to modern requirements, and it will help educators to exercise maximum of individual and collective abilities.

Results and/or arguments summarized: The use of Dewey's approaches will help members of the society to improve discipline, culture, social efficiency and personal character, as well as to balance their own contribution to society.

**Conclusion:** Main outcomes of the study Knowledge of the mentioned theories ultimately will make moral and social characteristics identical to each other.

**Keywords** Morality, upbringing, values, behavior, characteristics, duty, personal.

მე მეჯერა, რომ ზნეობრივი აღზრდა-განათლება სკოლის, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმის ამ გაგებაზე კონცენტრირდება; ... თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემები, იმდენად, რამდენადაც სპობენ თუ უზღუდებელიყოფენ ამ ერთიანობას, ნამდვილ, რეგულარულ მორალურ აღზრდას ართულებენ ან შეუძლებელს ხდიან.  
[ჯონ დიუი 1]

ჯ. დიუი განათლებას სიცოცხლის შენარჩუნება-განახლების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. განახლებას მოაქვს ადათ-წესების, რწმენის, ბრძოლის, შრომის და სხვათა მუდმივი ცვალებადობა. ჯ. დიუი განათლებას ამ უწყვეტობის, ე. ი. სიცოცხლის მარადისობის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა.

ადამიანი ველურ ყოფაშიც და თანამედროვე პირობებშიც უსუსური იბადება. ხანდაზმულობაში, ისინი, რომლებიც განათლებასა და გამოცდილებას ფლობენ, კვდებიან, სიცოცხლე კი გრძელდება. ახლადგაჩენილსა და ხანდაზმულს შორის დისტანციის აღმოფხვრა მხოლოდ ცოდნის გადაცემით ხდება. ცოდნის გადაცემა ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლაში აუცილებელია და მით უფრო საჭიროა იგი მეცნიერულ, შემოქმედებით და მორალურ სფეროებში.

გონების და საქმიანობის ურთიერთმიმართებაში არსებული ხედვები მორალის თეორიებში ირეკლება. ჯ. დიუი ნაშრომში „დემოკრატია და განათლება“ აკრიტიკებს მორალის დუალისტურ კონცეფციებს და საინტერესოდ აყალიბებს თავის დამოკიდებულებას და ხედვებს, რომლის მიხედვითაც სასკოლო სწავლებისა და დისციპლინის მიზანი პიროვნული ხასიათის ფორმირებაა.

ჯ. დიუი განიხილავს იმ შემაფერხებელ კონცეფციებს, რომელიც ინტელექტს უკავშირებს პიროვნულ ხასიათს და აფერხებს მიზნების რეალიზებას. დიუის აზრით, საჭიროა მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების მოძიება. პირველი ბარიერი ისაა, რომ აღნიშნული კონცეფციები მორალთან დაკავშირებულ მოქმედებებს ყოფენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო - **შიდა და გარე (სულიერ და ფიზიკურ) ფაქტორებად**. გონებისა და სამყაროს, სულისა და სხეულის მსგავსი დაყოფა აშორებს მიზნებსა და საშუალებებს, რაც დუალიზმის კულმინაციაა. კონცეფციაში ზღვარია გავლებული მოქმედების მოტივსა და მის შედეგებს შორის, პიროვნულ ხასიათსა და ქცევას შორის. მოტივი და ხასიათი განიხილება როგორც „შინაგანი“ (ცნობიერში არსებული) შედეგები და ქცევა აღიქმება გონებისგან „გარეთ“ არსებულ უბრალო ქცევად, უბრალო მოძრაობად, რომელსაც მოტივი აქვს. სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლები – მორალურობას აიგივებს გონების შინაგან მდგომარეობასთან ან გარეგან ქცევასა და შედეგებთან განცალკევებულად.

განზრახვით ნაკარნახევი მოქმედება ნებიდან გამომდინარეა, შეიცავს საბოლოო მიზნის მიმართ ინტერესის გაცნობიერებულ მდგომარეობას. საკუთარი ნების საფუძველზე მიზნისა და სასურველის მიმართ ჩამოყალიბებული დისპოზიციის შერჩევას გარკვეული დრო, ფიქრი ჭირდება, ამ დროში ხილული მოქმედება შეჩერებულია.

ადამიანის ფიქრები, დაკვირვებები, სურვილები და ანტიპათია ბუნებრივი, თანდაყოლილი აქტივობებია, რომელთა საშუალებით შეიძლება რუტინული ჩვევებისა და ბრმა იმპულსებისაგან თავდახსნა. ცნობიერი სურვილი, რომელიც წინ უსწრებს მოქმედებას, წარმოსახვის სტიმული ხდება.

ფიქრები დროებითია, როგორც თხრილზე გადახტომის მსურველის შეყოვნება, როცა უნდა მოხდეს ცნობიერების აქცენტირება გადაწყვეტილების მისაღებად. ადამიანი ფიქრით წყდება ხილულ მოქმედებას და გადადის წარმოსახვით სამყაროში, გონებაში. აზროვნებისა

და ქცევის, ამგვარი დაყოფა ჩანს თეორიებში, რომლებიც ზღვარს ავლებენ გონებას, როგორც შინაგანს და ქცევას, როგორც გარეგნულ გამოხატულებას შორის.

სოციალურ ასპექტში განუხორციელებელი სურვილი კლასს აიძულებს საკუთარ ფიქრებში ჩაიკეტოს. გარემო პირობების უქონლობის გამო, გამოსავალი ფიქრებთან ჩაკეტვაში იპოვოს. შეყოვნების ბევრი ასეთი მომენტი ახსოვს ისტორიას.

ადრეულმა ქრისტიანულმა, სამონასტრო და სხვა რელიგიურმა მიმდინარეობებმა შექმნა მსგავსი მორალური სისტემები, სადაც ადამიანები ფიქრებში ჩაკეტვით, იდეალური სურვილებით პოულობდნენ გამოსავალს. რამდენადაც იზღუდებოდა იდეალების შესაბამისი მოქმედება, იმდენად იზრდებოდა თვითკმარობის განცდა. მათი შეხედულებით მორალურობის საფუძველი შინაგანი იდეალებია. მათ მიერ გარეგანი სამყარო, მოქმედების სამყარო მიჩნეულ იქნა მორალურად არასაინტერესოდ. ხედავს მე-18 ს-ში კანტის მიერ გამოვლილი – კეთილი ნება არის ერთადერთი მორალური სიკეთე, თუნდაც დაშორებული ამ სამყაროში არსებულ შედეგებზე.

შეხედულებამ საწინააღდეგო რეაქცია გამოიწვია, რაც გამოიხატა უტილიტარიზმი – ეთიკურ თეორიაში., რომლის მიხედვით მოქმედება საერთო „სიკეთის“ მომტანია. მისი მორალური ღირებულება შედეგით განისაზღვრება, მორალურად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რასაც ადამიანი ცნობიერების ფარგლებში წარმოადგენს, არამედ ის რასაც ის აკეთებს – მიღებული შედეგი.

შინაგანი მორალურობა სენტიმენტალობად იქნა მიჩნეული, რაც ადამიანს უფლებას აძლევდა, საკუთარი ინტერესის ან ცნობიერი იდეალების სახელით განედიდებინა ან აერიდებინა ნებისმიერი დოგმა. ამ თეორიების მიხედვით შედეგი და ქცევა მორალურობის ერთადერთი საზომი.

ჯონ დიუი ორივე თვალსაზრისს არაკონსისტენტურ (არათანმიმდევრულ) კომპრომისად წარმოადგენს, რადგან, ერთი მხრივ, ინდივიდს, რომელიც მოქმედებს „კეთილი სურვილებით“ და მიზნებით, ქცევის შედეგებზე პასუხისმგებლობა შეიძლება არ დაეკისროს. მეორე მხრივ, აუცილებელია დაემორჩილოს სხვების ინტერესებს და მოთხოვნებს, კონცენტრირდეს საქმეზე, იმოქმედოს სოციალურად მოწესრიგებულად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ინდივიდს სურვილი ან ინტელექტი ამისთვის. შესაბამისად, არ ითვალისწინებს, რა შედეგი მოყვება მისთვის ნაკლებად ცხად საქმიანობებს.

ორივე ამ ბოროტების თავიდან აცილების შესაძლებლობას დიუი სკოლის მიზანში ხედავს – მისცეს მოსწავლეს სასარგებლო ჩვევები, ასწავლოს თვითმართვა საჭირო შედეგის მისაღებად, შედეგად გაჩნდება განგრძობადი აქტივობა, რომელიც მოიცავს მოსწავლის საკუთარ ინტერესებს გაკვეთილი შედეგის მისაღწევად სხვების დიქტატის გარეშე. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხედავს შესაძლებლობას აუცილებლად განვითარდეს გაცნობიერებული განზრახვა, სურვილი და ნების მიერი რეფლექსია.

ჯ. დიუი წიგნში „დემოკრატია და განათლება“ ღრმად აანალიზებს ინტერესისა და მოვალეობის დაპირისპირებას. აღნიშნავს, რომ ხშირად პრინციპებისა და ინტერესების ურთიერთდაპირისპირებისას „ინტერესს“ ეგოისტურად თვლიან, რადგან საკუთარი მოგება, სარგებლობაა ნავარაუდევია. დაპირისპირებაში „ინტერესის“ მხარეს მდგომები იყენებენ ტერმინს – „საკუთარი ინტერესი“. თვლიან, რომ როდესაც პიროვნება პრინციპიდან ან მოვალეობიდან გამომდინარე მოქმედებს, სინამდვილეში მოქმედებაში მისთვის სასარგებლო იმალება.

მეორე ფილოსოფიური მიმდინარეობა თვლის, რადგან ადამიანს აქვს უნარი, დაივიწყოს საკუთარი თავი და მსხვერპლად შეეწიროს კიდეც, მას შეუძლია ინტერესისგან დამოუკიდებლად იმოქმედოს.

დიუი ორივე შეხედულების დაშვებას სწორად მიიჩნევს, მაგრამ დასკვნებს – მცდარს უწოდებს. თვლის, რომ ორივეს მიერ არასწორადაა გაგებული საკუთარისა და ინტერესის მიმართება, რასაც მივყავართ ადამიანური ბუნების ცინიკურ ხედვამდე

სვამს კითხვას: რა სხვაობაა საკუთარ ინტერესსა და ინტერესის გარეშე მოქმედებას შორის? თუ “საკუთარი” მოქმედებამდე არსებული რამ „ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებაა“, ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ საკუთარი სარგებლობისთვის ქმედება – ეგოისტური აქტია?

გამოდის, რომ ადამიანებს, რომლებიც ღირსეულად იქცევიან, ინტერესი არ გააჩნიათ. ექიმს, რომელიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მკურნალობს შავი ჭირით დაავადებულებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს პროფესიის კარგად აღსრულების ინტერესი. რაც გადაწონის მის ინტერესს საკუთარი სიცოცხლის მიმართ. არსებობს სხვა სახის დაინტერესებაც (შემოსავალი, რეპუტაცია, აღიარება...), მაგრამ ექიმი თავის თავგანწირულ მოქმედებაში პოულობს საკუთარ მეს. ამდენად, შეცდომაა „პიროვნული ინტერესისა“ და „პიროვნული მეს“ განცალკევება. ორივე ტერმინი ერთი და იგივე ფაქტის ორი სახელწოდებაა. ინტერესი გულისხმობს პიროვნულობის იდენტობას მესთან. არაეგოისტურობა არ ნიშნავს არც ინტერესების ნაკლებობას ინდივიდის ქმედებისადმი და არც პიროვნულობის ნაკლებობას.

თუ ვივარაუდებთ, რომ სასკოლო გარემო უნდა იყოს ისეთი, რომ შეძლოს სასურველი საქმიანობის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა, ე.ი. სკოლას ამ საქმიანობისადმი ინტერესი ამოდრავებს. არის მომენტი, როცა ინტერესი წყდება და ყურადღება იფანტება. ამ დროს საჭიროა დახმარება. ამ სიძნელეების გადალახვაში მოვალეობის შეგრძნება ადამიანს ეხმარება საკუთარი საქმის შესრულებაში. შედეგად აღდგება ინტერესი, მოვალეობის გრძნობა. ისინი საშუალებებია საკუთარი საქმის შესასრულებლად. ადამიანი, რომელსაც აქვს უნარი გაუძლოს დროებით იმედგაცრუებას, ებრძოლოს დაბრკოლებებს, სიძნელეების მიღებისა და გადალახვისაგან მიიღებს ინტერესს, რომელსაც აუცილებლად მიმართავს სასურველი შედეგისაკენ.

ჯ. დიუი ნაშრომში საუბრობს **ინტელექტისა და ხასიათის** შესახებ. ის აღნიშნავს, რომ მორალის საკითხის განხილვისას ხშირად წარმოიქმნება პარადოქსი. გონება განიხილება როგორც გარკვეული ნიჭი, რომლისგანაც გამომდინარეობს მორალური ინტუიციები. ზოგჯერ კი მორალს ცოდნისაგან განცალკევებულად განიხილავენ.

განათლების სფეროში ასეთი დაყოფა უიმედობას შექმნის პიროვნული ხასიათის აღზრდის პროცესში, რადგან ამ ხედვაში არ არის გათვალისწინებული ცოდნის შეძენისა და აზროვნების განვითარების პროცესთან კავშირი. მორალი დაყვანილია კატეხიზმოს, დასწავლის მსგავს აქტივობამდე – მორალის შესახებ გაკვეთილებამდე და გულისხმობს სიქველეებისა და მოვალეობების შესახებ სხვების ნააზრევის შესწავლას, სხვათა ხედვებისადმი მონურ პატივისცემას, რაც იწვევს სხვებზე დამოკიდებულების ზრდას, ხოლო ძალაუფლების მქონეთ აკისრებს მართვის პასუხისმგებლობას.

ჯ. დიუი თვლის, რომ მორალის შესახებ პირდაპირი სწავლება ეფექტურია მხოლოდ იმ სოციალურ ჯგუფებში, სადაც მცირე ჯგუფები ავტორიტარულად აკონტროლებენ მრავალრიცხოვანს. რაც შესაძლებელია უფრო რეჟიმის მხარდაჭერით და არა –სწავლებით.

ჯ. დიუი ეხება პლატონისა და სოკრატეს მორალის თეორიებს, რომელშიც ისინი ცოდნას სიქველესთან აიგივებენ. მათი აზრით ადამიანი ბოროტებას განზრახ არ ჩადის, ბოროტებას აკეთებს მხოლოდ სიკეთის არცოდნით. ამ ხედვას ბევრი აკრიტიკებს რადგან პირიქითაც ხდება. არისტოტელე არ იზიარებს პრინციპს, რომ მაღალზნეობრივი პრინციპების ადამიანის ჩამოყალიბება მხოლოდ აღზრდითა და პრაქტიკული ჩვევების შექმნით არის შესაძლებელი, არ ეთანხმება, რომ სიქველე ისეთივე ხელობაა, როგორც მედიცინა. რეალური ცოდნა უნდა მივიღოთ იმგვარი გამოცდილების მოთხოვნით, რომელიც ქცევას მნიშვნელოვნად ცვლის.

სკოლებში წიგნიდან მხოლოდ სასკოლო გაკვეთილის სწავლა იწვევს ისეთ ქცევას, რომელიც სხვების მოთხოვნის შესაბამისად დებულებების რეპროდუქცირებას ახდენს. ამგვარი „ცოდნა“ ნაკლებ დასაფასებელია და გავლენა არ აქვს.

სკოლებმა უნდა გადასცენ ცოდნა, რომელსაც დააკავშირებენ იმპულსებისა და ჩვევების სისტემასთან. კურიკულუმის საგნების ათვისებას მხოლოდ ტექნიკური ღირებულება არ უნდა ჰქონდეს, მისი ათვისება სოციალური მნიშვნელობის მქონე პირობებში უნდა ხდებოდეს, მხოლოდ ასე წარმოშობს ცოდნა მორალურ ინტერესს, განავითარებს მორალურ ხედვებსა და მორალურ თვისებებს.

მორალური ცოდნაა ის, რასაც ვსწავლობთ და ვიყენებთ საქმიანობის დროს, რომელსაც მიზანი აქვს და გულისხმობს სხვებთან თანამშრომლობას. მორალური ცოდნა ავითარებს სოციალურ ინტერესს და მართავს ინტელექტს, რომ ინტერესი ამოქმედდეს პრაქტიკის ფარგლებში.

ჯ. დიუიმ კარგად განმარტა ქცევის **სოციალური და მორალური** მახასიათებლები. აღნიშნა, რომ მის მიერ გაკრიტიკებული ყველა თეორია, წარმოადგენდა მორალის ცალმხრივ განხილვას. სინამდვილეში მორალი ფართოა, ისევე როგორც ადამიანის მოქმედებები სხვებთან ურთიერთობისას. შეიძლება ადამიანმა მორალი უწოდოს სიმართლისმოყვარეობას, მზრუნველობას, კეთილსინდისიერებას და სხვ. იმიტომ, რომ მათ სხვა დამოკიდებულებებთან შედარებით ცენტრალური ადგილი უჭირავთ. თუმცა მათ უკავშირდებათ სხვა დამოკიდებულებები, რომლებიც ადვილი შესამჩნევი არ არის. მხოლოდ მათი სხვა ფაქტორებთან ინტეგრირებითაა შესაძლებელი ეფექტური მოქმედება.

დიუის აზრით, მორალი ეხება მთელს, პიროვნულ ხასიათს, ხოლო ხასიათის სისრულე ადამიანის კონკრეტული ქმედების იდენტურია. ქცევის მორალური და სოციალური მახასიათებლები საბოლოო ჯამში ერთმანეთის იდენტურია. ადამიანი არის ის, რისი გახდომის შესაძლებლობაც მას აქვს სხვებთან კავშირის დამყარების საფუძველზე.

სკოლა თავად უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ადგილი. ტრადიციული, ცხოვრებისგან დაცილებული, სკოლის ნაცვლად, დიუი გვთავაზობს „...მინიატურულ სოციალურ ჯგუფს, სადაც სწავლა და განვითარება აწმყოში მიმდინარე გაზიარებული გამოცდილების გამოვლინებაა. სათამაშო მოედნები, სახელოსნოები, ლაბორატორიები... გულისხმობს ურთიერთობას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, – [2] გვ.352}. ასევე სკოლაში მიმდინარე სწავლა უწყვეტად უნდა იყოს დაკავშირებული სკოლის გარეთ არსებულთან. ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ორივე მხარეს ერთმანეთთან ექნება უწყვეტი შეხების წერტილები. სწორედ სოციალური გარემოს არ არსებობას თვლის დიუი სკოლის იზოლირების ერთ-ერთ მიზეზად, რაც სასკოლო ცოდნას პრაქტიკაში გამოუყენებელს, ხოლო პიროვნული ხასიათის თვალსაზრისით უნაყოფოს ხდის.

მისი აზრით, განათლების ფარგლებში ნებისმიერი მიზანი და ღირებულება, რომელიც ავითარებს სოციალურ ცხოვრებაში ცოდნის ეფექტურად გაზიარების უნარს, მორალურია, აყალიბებს პიროვნულ ხასიათს და მზადაა მუდმივად იმოძრაოს მისი სრულყოფისათვის. საკმარისი არ არის ადამიანი იყოს კეთილი, ის კეთილი უნდა იყოს რაიმე მიზნით და ეს „რაიმე“ არის უნარი იცხოვრო სოციალურ წევრად ისე, რომ რასაც სხვებთან თანაცხოვრებით იღებ, აბალანსებდეს საკუთარ წვლილს.

ჯ. დიუი იმიტომ არის დიდი მეცნიერი, რომ მან კარგად იცის, რომ დისციპლინა, კულტურა, სოციალური ეფექტურობა, პიროვნული დახვეწა, პიროვნული ხასიათის გაუმჯობესება - სოციალური გამოცდილების გაზიარების მასშტაბური ზრდის ფაზებია. განათლება ამგვარი ცხოვრების მნიშვნელოვანი საშუალებაა, რადგან ცნობიერი ცხოვრება რაიმეს ხელახლა დაწყების უწყვეტობას წარმოადგენს.

ჯ. დიუის აზროვნება ესადაგება თანამედროვე მოთხოვნებს და ამ მოთხოვნათა შუქზე სახავს გზებს ადამიანთა ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის.

## ლიტერატურა

[1] დიუი ჯ., ჩემი პედაგოგიური მრწამსი,

<http://greenschool.ge/upload/other/751c08065818f7594cec92183b9ba3ec.pdf>

[2] დიუი ჯ., დემოკრატია და განათლება. - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ.

## რეზიუმე

ჯ. დიუი ნაშრომში „დემოკრატია და განათლება“ აკრიტიკებს მორალის შესახებ გონების და საქმიანობის მიმართებაში არსებულ დუალისტურ თეორიებს, რომლებიც ეხება: მოქმედების შინაგან და გარეგან ფაქტორებს, ინტელექტის და ხასიათის განსხვავებულ ხედვას, ინტერესის და მოვალეობის დაპირისპირებას და სოციალურის და მორალურის ურთიერთობას. საინტერესოა მისი შეხედულებები სკოლაში მორალური განათლების მნიშვნელოვან პრობლემაზე, ცოდნისა და ქცევის ურთიერთობაზე, მათ გავლენაზე ინდივიდის პიროვნული ხასიათის ფორმირებაში. საუბრობს იმ ორგანული კავშირების აუცილებლობაზე, რომელიც უნდა არსებობდეს ცოდნას, მოქმედებას და ცხოვრების შესახებ ხედვას შორის.

დიუი თვლის, რომ განათლების ფარგლებში ნებისმიერი მიზანი და ღირებულება, რომელიც აწვითარებს სოციალურ ცხოვრებაში ცოდნის ეფექტურად გაზიარების უნარს, მორალურია. ის აყალიბებს პიროვნულ ხასიათს და მზადაა მუდმივად განვითარებისათვის.

სამყაროში მომდინარე ცვლილებებს მოაქვს ადათ-წესების, რწმენის, ბრძოლის, შრომის და სხვა ღირებულებების მუდმივი ცვალებადობა. საზოგადოება სკოლის, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმის დანიშნულებად ადამიანის ზნეობრივ აღზრდა-განათლებლასაც მიიჩნევს. თანამედროვე სკოლათა უმეტესობა სწავლების პროცესზე, ცოდნის გადაცემაზე არის ორიენტირებული და მას არ აკავშირებს ჩვევების სისტემასთან, რაც ართულებს მორალური ინტერესის წარმოქმნას, მორალური ხედვების განვითარებას

და მორალური თვისებების ჩამოყალიბებას. არსებულ პრობლემებზე ჩატარებული დაკვირვების, შედარების, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ დიუისეული ხედვა სასწავლო საადმინისტრაციულ პროცესში ჩართულ მხარეებს განუვითარებს სოციალურ ინტერესს და ინტელექტის მართვის უნარს. მათი გამოყენება სწავლებაში დაეხმარება საზოგადოების წევრებს დისციპლინის, კულტურის, სოციალური ეფექტურობის, პიროვნული ხასიათის გაუმჯობესებაში, ცხოვრებაში საკუთარი წვლილის დაბალანსებაში და საბოლოო ჯამში ქცევის მორალურ და სოციალურ მახასიათებლებს ერთმანეთის იდენტურს გახდის.

## **Abstract**

J. Dewey's work "Democracy and Education" criticizes the existing dualistic moral theories on the mind and activities, which refer to the internal and external factors of action, a different vision for intelligence and character, contrasting the interest and duty and interrelation between social and moral aspects. Of particular interest are his views of significant problems of moral education at school, interrelation between knowledge and behavior, as well as their influence on the formation of personal character of the individual. He describes the necessity of those organic links, which must exist among knowledge, action and the way of looking at life.

Dewey believes that all goals and values within the framework of education, which develop the skills of the effective sharing knowledge, are moral. He forms personal character and is ready for continuous development.

The changes occurring in the universe lead to continuous variation of customary practices, belief, fighting, labor and other values. The moral upbringing and education is also, perceived by the society as a purpose of school as a form of public life. The most modern schools are oriented towards training process and knowledge transfer, and they do not associate this process with a system of customary practices that complicates the creation of moral interest, development of moral visions and formation of moral character. Based on the results of observations, comparison, analysis, synthesis, induction and deduction on the existing problems, we can note that Dewey's approach will develop skills of all parties involved in training-educational process to manage their social interest and intelligence. The use of these skills in teaching process will help members of the society to improve discipline, culture, social efficiency and personal character, as well as to balance their own contribution to society that ultimately will make moral and social characteristics identical to each other.